



სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვების დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადებისა და შემდგომი მხარდაჭერის ეროვნული პოლიტიკა / კონცეფცია

დაინტერესებული მხარეები / stakeholders:

- საქართველოს პარლამენტი
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
- საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
- საქართველოს შეიარაღებული ძალები/თავდაცვის სამინისტრო
- ადგილობრივი თვითმმართველობა
- საქართველოს კოალიცია ბავშვების და ახალგაზრდების კეთილდღეობისათვის
- სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვები და ზრუნვიდან გასული ახალგაზრდები
- დონორები

I. ტერმინთა განმარტება

ახალგაზრდა - ქართული კანონმდებლობა ახალგაზრდის ასაკს არაპირდაპირი გზით განმარტავს. მოქმედი კანონმდებლობით ახალგაზრდად შეიძლება მივიჩნიოთ ნებისმიერი მოქალაქე 18-დან 26 წლის ჩათვლით.

ბავშვი - საქართველოს კანონმდებლობითა და ბავშვის უფლებათა კონვენციის შესაბამისად, ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკის ყოველი ადამიანი.

მზრუნველობამოკლებული ბავშვი – 18 წლამდე ასაკის პირი:

- რომლის მშობელი (მშობლები) სასამართლომ აღიარა ქმედუუნაროდ, უზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად;
- რომელიც არის ობოლი ბავშვი;
- რომლის მშობელს (მშობლებს) ჩამოერთვა (ჩამოერთვათ), შეუჩერდა (შეუჩერდათ) ან შეეზღუდა (შეეზღუდათ) მშობლის უფლებები და მოვალეობები კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- რომელიც აღიარებულ იქნა მიტოვებულ ბავშვად;
- მისი დატოვება მშობელთან (მშობლებთან) ან მეურვესთან/მზრუნველთან მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით ბავშვისთვის საზიანოა.



მინდობით აღზრდა – ობოლ და მშობელთა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მოვლისა და აღზრდის მიზნით, სახელმწიფოსა და დედობილ-მამობილს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე გატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლის განხორციელებითაც სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, დაიცვას და უზრუნველყოს ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის კანონიერი უფლება.

მცირე საოჯახო ტიპის სახლი - ოჯახურ გარემოს მიმსგავსებული, 24 საათიანი სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელი ბავშვზე ალტერნატიული ზრუნვის მომსახურება.

ბავშვთა სახლი - ბავშვზე 24 საათიანი სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელი, დიდი ზომის ინსტიტუცია.

II. პოლიტიკის დოკუმენტის მიზანი

წარმოდგენილი დოკუმენტის მიზანია, განსაზღვროს სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვების/ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადების და მათი შემდგომი მხარდაჭერის სახელმწიფო პოლიტიკა.

შესაბამისად, მხარდაჭერის სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში განვითარებულმა პროგრამებმა თუ მომსახურებებმა ხელი უნდა შეუწყოს:

- **ახალგაზრდის ცხოვრებისეული უნარების განვითარება**, რომელიც გულისხმობს ყოველდღიური ცხოვრებისათვის აუცილებელი პრაქტიკული უნარების დაუფლებას. მაგალითად ისეთი, როგორცაა ჯანმრთელობის დაცვა, სექსუალური განათლება, ჩაცმულობა, საყოფაცხოვრებო მოთხოვნების დაკმაყოფილება, ფულის ხარჯვა, ინტერესის სფეროების განვითარება, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან ურთიერთობა და სხვა.
- **ახალგაზრდის ემოციური სტაბილურობა**, რომელიც გულისხმობს საკუთარ თავზე ზრუნვას, სხვების დახმარების სურვილს, მომავლის რეალისტურად და ოპტიმისტურად ხედვასა და შეფასებას.
- **ახალგაზრდის კოგნიტური და სოციალური უნარების განვითარება**, რომელიც გულისხმობს კომუნიკაციის, კონფლიქტების მართვის, კრიტიკული აზროვნების, ურთიერთობების დამყარების, მეგობრების შეძენისა და სხვა უნარ-ჩვევების ფლობას.
- **ახალგაზრდის მიერ პროფესიის მიღების ხელშეწყობა**, რომელიც გულისხმობს ზოგადი განათლების მიღებას, ინტერესებისა და ნიჭის გათვალისწინებით, დამატებით პროფესიული, უმაღლეს-პროფესიული ან უმაღლესი განათლების მიღებას, რათა შესაძლებელი გახდეს პროფესიის შეძენა.



- ახალგაზრდის დასაქმება და შემოსავალი, რომელიც გულისხმობს სამუშაოს მოძიებას, დასაქმებასა და სტაბილური შემოსავლის არსებობას.
- საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფა, რომელიც გულისხმობს ახალგაზრდის მუდმივი ან დროებითი საცხოვრებელი ადგილის არსებობას.
- იმ პროფესიების შექმნა/განვითარება, რომლებიც ახალგაზრდებს დაეხმარებიან დამოუკიდებელ ცხოვრებაში ტრანზიციის საკითხში (ეს გულისხმობს როგორც არსებულ, მაგ. აღმზრდელები, მიმღები მშობლები, ისე ახალ პროფესიონალებს, მაგ. ახალგაზრდებთან მომუშავე სპეციალისტები (youth worker)).
- პროგრამები/მომსახურებები ხელმისაწვდომია ყველა ბავშვისთვის და ახალგაზრდისთვის - მიუხედავად მათი სქესის, ეთნიკური წარმომავლობის, შესაძლებლობათა შეზღუდვის თუ სხვა განსხვავებულობის.

III. სამიზნე ჯგუფი

სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვები (14+) და ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდები.

ახალგაზრდების ასაკობრივი კატეგორია

ბავშვენოსა და ახალგაზრდების ასაკობრივი ჯგუფები იყოფა ორ კატეგორიად:

- 14-დან 18 წლამდე ბავშვები, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფო ზრუნვაში;
- 18+ ახალგაზრდები, რომლებიც სარგებლობდნენ მინდობითი აღზრდის, მცირე საოჯახო ტიპის სახლისა და/ან დიდი ზომის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების მომსახურებით, და სრულწლოვანების მიღწევისას არა აქვთ შესაბამისი რესურსი, საკუთარი მომავლის დამოუკიდებლად მოწყობასთან დაკავშირებით.

IV. ახალგაზრდებზე ზრუნვის პოლიტიკა

ახალგაზრდებზე ზრუნვის პოლიტიკა მოიცავს ორ მიმართულებას:

- ბავშვების დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადება, რომელიც ეხება სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფ 14-დან 18 წლამდე ბავშვებს.
- ზრუნვიდან გასული ახალგაზრდების მხარდაჭერა, რომელიც ეხება სახელმწიფო ზრუნვიდან გასულ სრულწლოვან (18+) ახალგაზრდებს.

V. პოლიტიკის დოკუმენტის პრაქტიკაში დანერგვა

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი წარმოადგენს ახალგაზრდებზე ზრუნვის შესაბამისი პროგრამების განვითარების საფუძველს.